ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი კუჭავას

მუნიციპალიტეტის მერის დავით შარაშიძის

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ - საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურმა შეიმუშავა დადგენილების პროექტი - „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები სოციალური დახმარების და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.

პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების სახეებია:

მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება. ბიუჯეტი – 180 000 (ას ოთხმოცი ათასი) ლარი;

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა დახმარება. ბიუჯეტი - 11 000 (თერთმეტი ათასი) ლარი;

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების და დაზარალებული პირების დახმარება. ბიუჯეტი - 21 000 (ოცდაერთი ათასი) ლარი;

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბრძოლის მონაწილე პირების დაკრძალვის (სარიტუალო) ხარჯი. ბიუჯეტი - 2 000 (ორი ათასი) ლარი;

სამდიცინო მომსაუხრების თანადაფინანსება და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება. ბიუჯეტი 520 000 (ხუთას ოცი ათასი)ლარი;

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა. ბიუჯეტი 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

სოციალური პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა. ბიუჯეტი 165,000 (ას სამოცდახუთი ათასი) ~~ლარი;~~

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური დახმარება. ბიუჯეტი - 10.000 (ათი ათასი) ლარი.

წლის ბიუჯეტი 1. 159 000 (მილიონ ას ორმოცდაცხრამეტი ათასი) ლარი.

მუნიციპალიტეტის მერი: დ. შარაშიძე